ASC

# ექსპერტიზის დასკვნა

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიქთარვის საჯარო სკოლის შენობების სადემონტაჟო სამუშაოების და მიღებული მეორადი მასალების შეფასების შესახებ

ქუთაისი
2018 წელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
**GEORGIA**

შპს „აუდიტ-სერვის-ცენტრი“ | AUDIT-SERVICE-CENTRE“ LTD

ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №29 | №29 Newport str., Kutaisi

ტელ: 25-00-76; მობ: 577 47-39-10 | Tel: 25-00-76; Mob: 577 47-39-10

„26“ მაისი 2018 წელი

ლიცენზია №ზ154

№ 02/62

# ექსპერტიზის დასკვნა

## სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიქთარვის საჯარო სკოლის შენობების სადემონტაჟო სამუშაოების და მიღებული მეორადი მასალების შეფასების შესახებ

აუდიტორული ფირმა „აუდიტ-სერვის-ცენტრი"-ს ექსპერტმა ვ.ბაჯაძემ (უძრავი ქონების შემფასებელი - ექსპერტი. სერტიფიკატი № 087; გაც. საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტის მიერ 07.10.2017წ.) 2018 წლის 16 მარტს დადებული მომსახურეობის შესყიდვის ხელშეკრულება №9-ის საფუძველზე შევაფასე სკოლის ძველი შენობის, სახელოსნოს და ტუალეტის შენობების სადემონტაჟო სამუშაოები. ასევე მიღებული მეორადი მასალები.

აღნიშნული შენობები სრულიად ამორტიზირებულია და საჭიროებს დემონტაჟს.

**სადემონტაჟო სამუშაოები და რიგითობრიობა**

სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

I რიგი – მოსამზადებელი სამუშაოები
II რიგი – დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:
ა) დროებითი ღობის მოწყობა.
ბ) დროებითი ნაგებობის მოწყობა.
გ) შენობის შიგა ქსელის გამორთვა გარე ქსელიდან.

ASC

დ)სახიფათო ზონების შემოღობვა, ამკრძალავი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა.
ე) დროებითი სასაწყობო მოედნის მომზადება.

სადემონტაჟო ობიექტების დახასიათება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიქთარვის საჯარო სკოლის ძველი შენობა (01) არის ორსართულიანი, კაპიტალური განაშენიანების ფართი 1251,99 კვ.მ. გარეთა კედლის სისქე 45-50სმ; შესასვლელის და კარიდორის კედლების სისქე 40სმ. შიდა ტიხრების სისქე 30 სმ.

კედლები აშენებულია ქვით, წითელი და თეთრი აგურით. გადახურვა ხის კონსტრუქციებზე გოფრირებული თუთიანგავი ლითონის ფურცლებით. სამირკვლები ყორე ბეტონის.

შენობის კედლებში აღინიშნება მრავალრიცხოვანი ბზარი. ხის იატაკი და სხვენის კონსტრუქცია ამორტიზირებულია. შენობის აღდგენა არარენტაბელურია და ექვემდებარება დემონტაჟს.

სახელოსნოს შენობა (02) განაშენიანების ფართი 85,51 კვ.მ. კედლები ბეტონის, გადახურვა შიფერით.

ტუალეტის შენობა (03) განაშენიანების ფართი 30,46 კვ.მ. კედლები ბლოკის, გადახურვა შიფერით. ამორტიზირებულია და ექვემდებარება დემონტაჟს.
ს/კ №33.08.34.003;

სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება შემდეგ ეტაპად:

I ეტაპი – სახურავის და სხვენის დემონტაჟი.
II ეტაპი – დახურვის ხის კონსტრუქციის დემონტაჟი.
III ეტაპი – II სართულის ელემენტების დემონტაჟი.
IV ეტაპი – I სართულის ელემენტების დემონტაჟი.
V ეტაპი – საძირკვლების დემონტაჟი.

სადემონტაჟო სამუშაოები წარმოებს „ზემოდან ქვემოთ" „სახურავიდან საძირკვლების ჩათვლით" ელემენტური დაშლისა და გამსხვილებული იდაბლოკით დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

სადემონტაჟო სამუშაოები წარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:
ა)კომუნიკაციების, იატაკების დემონტაჟი.
ბ)ტიხრების , კარებისა და ფანჯრების დემონტაჟი.
გ) მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი.

ASC

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი წარმოებს:
ა)გადახურვის კონსტრუქციების დემონტაჟი.
2)ბლოკისა და აგურის მზიდი კედლების დემონტაჟი.

იატაკის დემონტაჟი უნდა მოხდეს ელემენტარულად ხელით, მცირე მექანიზაციის და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.
ტიხრების, კარებების, ფანჯრების სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით.
საძირკვლების დემონტაჟის შემდეგ წარმოშობილი ტრანში უნდა შეივსოს გრუნტით.

საჭირო მუშები, მანქანა-მექნიზმები, ტრანსპორტი
და მათი შეფასება:

1) საავტომობილო ამწე 8ტნ. ტვირთამწეობით საჭიროა 2 დღე.
მომსახურეობის ღირებულება 800 ლარი.
2) ექსკავატორი „უკუჩამჩა" ტევადობით 0,5მ³ საჭიროა 5 დღე.
მომსახურეობის ღირებულება 2000 ლარი.
3)ავტოთვითმცლელი (10მ³) 2 ერთეული – საჭიროა 5 დღე.
მომსახურების ღირებულება 5000 ლარი.
4)მოძრავი კომპრესორი 1ც.
მომსახურების ღირებულება 300 ლარი.

მცირე მექანიზმის საშუალებები და ინვენტარი:

პნევმატური სანგრევი ჩაქუჩი – 1ც. იჯარით აღება 100 ლარი.
ელექტრო სანგრევი ჩაქუჩი 1ც. – 100 ლარი.
ინვენტარული ხარაჩოები 50მ² – 100 ლარი.

მუშა – 140 კაც/დღე – 4200 ლარი

ამრიგად, სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიქთარვის საჯარო სკოლის ძველი შენობის, სახელოსნოს და ტუალეტის შენობების სრული დემონტაჟისათვის შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 12600 ლარით.

გაანგარიშებით მიიღება მეორადი მასალები:

ა) აგური 12000ც. ღირებულებით 1800 ლარი.

ბ) ჯართი 0,4 ტნ. ღირებულებით 120 ლარი.
გ) შეშა 90 მ$^3$ ღირებულებით 3600 ლარი.
დ)სახურავი გოფრირებული უჟანგავი ლითონის ფურცლები 1100 კვ.მ. ღირებულებით 3000 ლარი
ე)მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები ჩარჩოთი 110 კვ.მ. ღირებულებით 3700 ლარი. (კარების შუაგულები უვარგისია 17 ფანჯრის მინა-მაპეტი დამსხვრეულია)
ვ)მეტალის კარები 2ც. ღირებულებით 500 ლარი.

სულ სავარაუდოდ მეორადი მასალების ღირებულება შეადგენს 12720 ლარი.

თან ერთვის: ა) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 2 გვ.
ბ)ფოტოილუსტრაცია 12 გვ.

შპს „აუდიტ-სერვის-ცენტრი"-ს
დირექტორი:

/ვ.ბაჯაძე/

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 33.08.34.003**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
**N 882015399418 - 16/07/2015 13:09:42**

მომზადების თარიღი
**22/07/2015 13:48:59**

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| თერჯოლა | სიქთარვა | | |
| **33** | **08** | **34** | **003** |

**მისამართი:** რაიონი თერჯოლა , სოფელი სიქთარვა

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 18795.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **33.08.03.996;**

**სხვა ფართი:** N01-არასაცხოვრებელი განაშენიანების ფართი-1251.99 კვ.მ. N02-არასაცხოვრებელი განაშენიანების ფართი-85.51 კვ.მ. N03-არასაცხოვრებელი განაშენიანების ფართი-30.46 კვ.მ. N-04-ჭა ფართი-4.07 კვ.მ.

## მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **332007001741** , თარიღი **02/10/2007**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მიმართვა N990 , დამოწმების თარიღი:03/06/2010 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველო
- მიმართვა N192 , დამოწმების თარიღი:02/10/2007 , სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველო

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

## იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

## სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015399418 თარიღი 16/07/2015 13:09:42

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/07/2015

მოსარგებლე: სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლა 232004586;

მესაკუთრე: სახელმწიფო;

საგანი:მიწის დაზუსტებული ფართობი: 18795.00 კვ.მ სხვა ფართი:N01-არასაცხოვრებელი განაშენიანების ფართი-1251.99კვ.მ. N02-არასაცხოვრებელი განაშენიანების ფართი-85.51კვ.მ. N03-არასაცხოვრებელი განაშენიანების ფართი-30.46კვ.მ. N-04-ჭა ფართი-4.07კვ.მ ;

არსებობის ვადით;

მომართვა,რეესტრის ნომერი N1915, დამოწმების თარიღი12/11/2010, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

---

## ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

---

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge























